



ნინო ახალაია

დემოკრატიზაციის გამოწვევები

თბილისი 2020

სარჩევი

შესავალი	3
დემოკრატიზაციის გამოწვევები	4
დემოკრატიის დასავლური მოდელი: კვიპროსი და ისრაელი	6
თურქეთი	8
ისლამური რესპუბლიკა ირანი.....	8
დასკვნა	11

შესავალი

თემის აქტუალობა: დემოკრატიზაციის პროცესი არც თუ ისე მარტივი საკითხია, ძირითადი სირთულეები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეინიშნება. სახელმწიფოები ცდილობენ დემოკრატიზაციის დასავლურ მოდელთან დაახლოებას თუმცა ეს მოიცავს მთელ რიგ საკითხებს. როცა სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია, ბევრი რამე უნდა იყოს გათვალისწინებული: ადამიანის უფლებების დაცვა, მასმედიის თავისუფლება და ა.შ დემოკრატიის დასავლურ მოდელს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე მეტად უახლოვდება ისრაელის სახელმწიფო, ისრაელში მოქმედებს კანონის უზენაესობა, მაგრამ ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი, როგორც ისრაელია, სადაც არსებობს კანონის უზენაესობა და ტარდება სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, მთლიანად ვერ ჯდება დემოკრატიის დასავლურ მოდელში. ისრაელს დღემდე არა აქვს ერთიანი, დაწერილი კონსტიტუცია. თურქეთს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ევროპული დემოკრატიის მოდელთან დასაახლოებლად. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. თურქეთის რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტი, გაიმიჯნა ხელისუფლების შტოები. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფორმალურად ტარდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და არსებობს გარეგნულად დემოკრატიული ინსტიტუტები, მაგრამ ქვეყანაში დამყარებულია თეოკრატია. თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია კვლევის თეორიული მეთოდი, ასევე შედარების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

კვლევის მონაცემები ეფუძნება საკვლევ სფეროში არსებული ღია წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს, მეცნიერულ გამოკვლევებს და პუბლიკაციებს. მუშაობის პროცესში გამოყენებულმა შინაარსის ანალიზის მეთოდმა დიდი დახმარება გაგვიწია რაციონალურ კვლევაში. ასევე გამოვიყენეთ ცხრილები, რომლებიც ამტკიცებენ შესაბამის თავებში არსებულ თეორიულ მასალას.

დემოკრატიზაციის გამოწვევები

დემოკრატიის ინდექსს ყოველწლიურად ადგენს ორგანიზაცია The Economist Intelligence Unit. დემოკრატიის ინდექსი 10-ბალიანი სისტემით აფასებს 167 ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ხუთი მახასიათებლის მიხედვით: პლურალიზმი და საარჩევნო პროცესი, მთავრობის ფუნქციონირება, პოკლიტიკური მონაწილეობა, სამოქალაქო თავისუფლება და პოლიტიკური კულტურა. ამ მახასიათებლების მიხედვით 2017 წელს „სრული დემოკრატიის“ კატეგორიაში მოხვდა მხოლოდ 19 სახელმწიფო: დასავლეთ ევროპის ქვეყნები, სკანდინავიის ქვეყნები, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ახლო აღმოსავლეთიდან ამ კატეგორიაში ვერცერთი სახელმწიფო ვერ ხვდება. იმავე წლის მონაცემებით მეორე, „არასრულფასოვანი დემოკრატიის“ კატეგორიაში კვიპროსი და ისრაელი მოხვდნენ, ამ კატეგორიაში დაფიქსირდა ამერიკის შეერთებული შტატებიც. აშშ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ ჩამოქვეითდა პირველი კატეგორიიდან.

„ჰიბრიდული რეჟიმის“ მქონე სახელმწიფოებად დასახელდნენ ლიბანი, თურქეთი, ერაყი და პალესტინის ტერიტორიები. ახლო აღმოსავლეთის დანარჩენი 10 ქვეყანა „ავტორიტარული რეჟიმის“ კატეგორიაში დაფიქსირდა.

საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი ეგვიპტესა და იორდანიაში შეფასდა 3.58 ქულით, ბაჰრეინში 0.83 ქულით, კატარში, ირანში, საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, იემენში, სირიაში, ომანში 0 ქულით. რეგიონის არაბულ სახელმწიფოებს შორის დემოკრატიის დონით ყველაზე დაწინაურებული ქვეყანა ლიბანი, მსოფლიოში 104-ე ადგილს იკავებს. დანარჩენი არაბული სახელმწიფოებიც სიის მეორე ასეულში იკავებენ ადგილებს, ხოლო საუდის არაბეთი, რომელიც დასავლეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია 159-ე ადგილზეა 167 ქვეყანას შორის.

ცხრილი 1.1 ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რიგითი ადგილი მსოფლიოს ქვეყნებს შორის დემოკრატიის განვითარებისა და მასმედიის თავისუფლების დონით

ქვეყანა	დემოკრატიის დონე (167 ქვეყანას შორის, 2017)	მასმედიის თავისუფლების დონე (180 ქვეყანას შორის, 2018)
ისრაელი	30	87
კვიპროსი	35	25
თურქეთი	100	154
ლიბანი	104	100
პალესტინის ტერიტ.	108	134
ერაყი	112	160
იორდანია	117	132
ქუვეითი	119	105
ეგვიპტე	130	161
კატარი	133	125
ომანი	143	127
ბაჰრეინი	146	166
ირანი	150	164
იემენი	156	167
საუდის არაბეთი	159	169
სირია	166	177

1

რაც შეეხება პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური პლურალიზმისთვის აუცილებელ მაჩვენებელს - მასმედიის თავისუფლებას, როგორც მოცემული ცხრილიდანაც ნათლად ჩანს, რეგიონი საგრძნობლად ჩამორჩება მაღალ მსოფლიო სტანდარტს.

თურქეთში ბოლო პერიოდამდე არსებობდა თავისუფალი მედია, მაგრამ 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქი ჟურნალისტები მძიმე

¹ The Economist Intelligence Unit: Democracy Index, 2017; Reporters without Borders, 2018

ზეწოლის ქვეშ აღმოშენდნენ, ბევრი მათგანი დააპატიმრეს, და ქვეყანა მსოფლიო რეიტინგში 154-ე ადგილზე ჩამოვიდა. კატარი, საიდანაც მაუწყებლობს 1996 წელს დაარსებული ცნობილი ტელეარხი „ალ-ჯაზირა“, მასმედიის თავისუფლებით მსოფლიოში 125-ე ადგილს იკავებს. სინამდვილეში „ალ-ჯაზირას“ არაბულენოვანი რედაქცია, რომელიც სხვა არაბული ქვეყნების მთავრობებს თამამად აკრიტიკებს, თავისი ქვეყნის ხელისუფლების კრიტიკას ვერ ბედავს. 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ დროს მოსახლეობის საპროტესტო მობილიზაციაში სოციალურმა ქსელმა ძალიან დიდი როლი ითამაშა. მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი რეჟიმისთვის ასეთი საფრთხე, როგორც ჩანს XX საუკუნის ბოლოს გახდა ნათელი. საუდის არაბეთი 2000 წლიდან ეწევა ინტერნეტის ინფორმაციის ფილტრაციას: სპეციალური სამსახური ბლოკავს ზოგიერთ ვებ-გვერდს და არა მარტო ისეთს, რომლებიც ასე თუ ისე უნივერსალური მორალის პოზიციიდანაც მიუღებელია, არამედ ისეთსაც, რომელსაც ხელისუფლება ისლამური კულტურისთვის მიუღებლად და საკუთარი თავისთვის სახიფათოდ მიიჩნევს.

რეგიონის სხვა ქვეყნებშიც არის ასეთი ფილტრაციის მცდელობა. 2016-2017 წლებში „ანტიტერორიზმისა და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ“ მიღებულმა კანონებმა იორდანისა და გას-ის მტავრობებს საბაზი მისცეს ინტერნეტი თავისუფალი საუბრის კრიმინალიზაცია მოეხდინათ, მაგრამ სოციალური მედია-ფეისბუქი, ტვიტერი, სკაიპი და ა.შ ყველასთვის ხელმისაწვდომია.

დემოკრატიის დასავლური მოდელი: კვიპროსი და ისრაელი

დემოკრატიის დასავლურ მოდელს ყველაზე მეტად უახლოვდება კვიპროსის რესპუბლიკა და ისრაელის სახელმწიფო: ორივეგან მოქმედებს კანონის უზენაესობა. კვიპროსის რესპუბლიკა 2004 წლიდან ევროკავშირის წევრია. ორივე ამ ქვეყანაში შეუძლებელია გამოირიცხოს ბრიტანული გავლენა. კვიპროსი დიდ ხანს იყო დიდი ბრიტანეთის გვირგვინის კოლონია და იქ ინგლისური სამართალი მოქმედებდა.

ბრიტანული მანდატი 25 წელზე მეტი გაგრძელდა პალესტინაში, რომლის ტერიტორიაზეც 1948 წელს შეიქმნა ისრაელი, ერთდროულად ხდებოდა ბრიტანული დემოკრატიის მოდელის დანერგვა და ევროპიდან ებრაული მოსახლეობის მოდინება. ამ ხალხისთვის უფრო მარტივი აღმოჩნდა ევროპული ტიპის მმართველობის წესთან შეგუება, ვიდრე ადგილობრივი არაბული მოსახლეობისთვის.

ისეთი დემოკრატიული სახელმწიფოებიც კი, როგორც ისრაელია, სადაც არსებობს კანონის უზენაესობა და ტარდება სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები, მთლიანად ვერ ჯდება დემოკრატიის დასავლურ მოდელში. ისრაელს დღემდე არა აქვს დაწერილი კონსტიტუცია, ის არ შეერთებია გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას“, რელიგია ოფიციალურად არაა გამოყოფილი სახელმწიფოსგან და რელიგიური პარტიების გავლენა ისრაელის პოლიტიკაში საკმაოდ დიდია.²

მისი „კანონი დაბრუნების შესახებ ერთცენტრულია“, ანუ ის მხოლოდ ერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, ებრაელებს, ანიჭებს ქვეყანაში კანონიერი იმიგრაციის უფლებას.

² გაჩეჩილაძე გ. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. 52-54 გვ
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/reader%20r.gachechiladze.pdf

თურქეთი

თურქეთს დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა ევროპული დემოკრატიის მოდელთან დასაახლოვებლად. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. თურქეთის რესპუბლიკაში შეიქმნა მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტი, გაიმიჯნა ხელისუფლების შტოები. კანონის უზენაესობის პრინციპი დაცულია. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლიდან არმიის ხელმძღვანელობამ „სეკულარიზმის პრინციპებისთვის ღალატის“ საბაბით ოთხი მთავრობა გადააყენა. ამ გადატრიალებებმა, რაც ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, ქვეყნის მოდერნიზაცია არსებითად ვერ შეაფერხა. 2011 წლიდან კი არმიის გენერალიტეტი საბოლოოდ დაექვემდებარა სამოქალაქო ხელისუფლებას. თურქეთში ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ რეგიონის ისლამურ ქვეყნებში ყველაზე მოდერნიზებული და ვესტერნიზებული თურქეთი, რომელსაც ევროკავშირში გაერთიანება სურს, ჯერ ვერ იქცა „ნამდვილ ევროპად“. ბოლო წლებში მიმდინარე პროცესები მიგვითითებს ავტორიტარული ხელისუფლების განმტკიცებაზე და კანონის უზენაესობის ერთგვარ ეროზიაზე. 2016 წელი ივლისიდან ადამიანის უფლებების დაცვა იქ დაბალ დონეზე დავიდა.

ისლამური რესპუბლიკა ირანი

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფორმალურად ტარდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები და არსებობს გარეგნულად დემოკრატიული ინსტიტუტები. მაგრამ ქვეყანაში არის თეოკრატია: არჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის ხელისუფლებაზე მაღლა კონსტიტუციურად დგას აიათოლების ვიწრო წრის მიერ უვადოდ არჩეული ქვეყნის უმაღლესი სულიერი ლიდერის ხელისუფლება. ირანის შემთხვევაში ძნელია ლაპარაკი რეალურ დემოკრატიაზე,

როცა არჩევნების წინ იცხრილება კანდიდატთა სია, ან ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევები, როდესაც დადგენილია და მკაცრად იცავენ ქალის ტანსაცმლის ნორმებს.

2013 წლის 4 აგვისტოს შედგა ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის ჰოჯათოლესლამ ჰასან რუჰანის ინაუგურაცია, რითაც ოფიციალურად დასრულდა მაჰმუდ აჰმადინეჟადის 8 წლიანი პრეზიდენტობის პერიოდი. ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები და პოლიტიკოსები ახალი პრეზიდენტის სამომავლო გეგმებსა და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებზე საწყის ეტაპზე მხოლოდ ვარაუდისა და გათვლების დონეზე საუბრობდნენ, სამაგიეროდ, ინტენსიურად მიმდინარეობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე ყოფილი პრეზიდენტის 8 წლიანი მოღვაწეობის ანალიზი, ასე მაგალითად, რეფორმატორთა ფრთის ყოველკვირეული ჟურნალი „ასემენ“-ი 3 აგვისტოს 53-ე ნომერს სპეციალურად უძღვნის მაჰმუდ აჰმადინეჟადის პრეზიდენტობის შედეგებს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ სფეროში ნიშანდობლივი საერთო სათაურით „მაჰმუდის მემკვიდრეობა“, რომელსაც საკუთარ აზრს, უმეტესად კრიტიკულს და უარყოფითს გამოხატავენ ზემოხსენებული სფეროების ცნობილი ირანელი ექსპერტები და მოღვაწეები. საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი უპატივცემლობად შეიძლება ჩაითვალოს 2010 წლის დეკემბერში სენეგალში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საგარეო საქმეთა მინისტრის მანუჩეჰრ მოტაჟის სკანდალური გადაყენება თანამდებობიდან. ამით მაჰმუდ აჰმადინეჟადმა დაარღვია საგარეო უწყებაში 1981 წლიდან ჩამოყალიბებული ტრადიცია, რომლის თანახმადაც საგარეო საქმეთა მინისტრები ბოლომდე მიყვებოდნენ მთავრობის მეთაურებს და პოსტს ინარჩუნებდნენ მინიმუმ 8 წლის ანუ ორი საპრეზიდენტო ვადის მანძილზე.³

³ ნახუჯრიშვილი ნ. მაჰმუდ აჰმადინეჟადის 8 წლიანი მმართველობიდან საგარეო პოლიტიკის შეფასებები 2-9 გვ <http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf>

ირანში სასამართლო ხელმძღვანელობს VII-VIII საუკუნეში ჩამოყალიბებული შარიათის წესებით. მართალია შარიათის ყველაზე ოდიოზურ წესებს იქ ნაკლებად იცავენ, მაგრამ დამნაშავეთა თავის მოკვეთის ნაცვლად ჩამოხრჩობის გამოყენება დიდი ვერაფერი შეღავათია. ირანის მოსახლეობა, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების ახალგაზრდობა, მზადაა ცვლილებებისთვის, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ირანის დემოკრატიზაციის პროცესი სეკულარული მოდელით წარიმართოს. ამ სახელმწიფოს შინაგანი სტაბილურობა, განსაკუთრებით კი წონასწორობა ეთნოსთაშორისი ურთიერთობების სფეროში, დამოკიდებულია შიიტური ისლამის გამაერთიანებელ ფაქტორზე. ამიტომაც ლიბერალიზაციის პროცესი უახლოეს მომავალში, ალბათ არ გასცდება რელიგიურ ჩარჩოებს.

დასკვნა

საბოლოოდ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, დემოკრატია ყველა სახელმწიფოში მკვიდრდება შინაგანი განვითარების შედეგად და არა გარე ფაქტორების მიხედვით. სახელმწიფოს საშინაო მდგომარეობა უნდა იყოს მზად დემოკრატიისთვის შესაბამის კანონების მისაღებად. თუ ახლო აღმოსავლეთში ადამიანები არ არიან მზად საკუთარ თავს მიანდონ საზოგადოების მართვა, ევროპული დემოკრატიის მოდელი ვერ დამკვიდრდება. დემოკრატიის გარედან ჩამოყალიბების მცდელობა უშედეგოა. საზოგადოება უნდა იყოს სეხელმწიფოსგან დამოუკიდებელი ეკონომიკურად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნახუცრიშვილი ნ. მაჰმუდ ამჰმადინეჟადის 8 წლიანი მმართველობიდან საგარეო პოლიტიკის შეფასებები 2-9 გვ <http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf>
2. <http://archive.jewishagency.org/first-steps/program/5131>
3. გაჩეჩილაძე გ. ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. 52-54 გვ https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/reader%20r.gachechiladze.pdf
4. The Economist Intelligence Unit: Democracy Index, 2017; Reporters without Borders, 2018